



K108 92.9
3

1

X

5

ქვემის მრავალობის საკართველოს
სახაფოერო-ზეპირერი საზოგადოება



ე. ა. ვაჟაბური

ღვინის შემაღებელობასა და
ხარისხს მორის
დამოყიდვულების ზოგიერთი
ცაჭითა

6632
ეროვნული
მუზეუმი


კვების მრავალობის საშართველოს სამიცნივრო
ტიტორი საზოგადოება

ელექტრონის მარცველობის სექცია

ჩ. კასაბური

ჩვინის შეგენილობასა და ხარისხს
შორის დამკირევებების
ზოგიერთი საკითხი

K 108.922
3



0 8 0 3 0 6 0 — 1961



ლვინის ღირსების არსებითად შეფასება საქმაოდ მნიშვნელოვანი, სერიოზული და რთული საქმეა, რადგან როგორც ცნობილია საესტილ მსგავსი ლვინოებიც კი, რომლებიც ერთნაირი დანიშნულებისაა და ამავე დროს საღ ლვინოებად ითვლება, ღირსების განსაზღვრის დროს ხშირად სხვადასხვა შეფასებას ღებულობს. ეს გარემოება თავის მხრივ ერთგვარ გაუგებრობასა და დაბრკოლებას იწვევს მეღვინეობის საკითხების გადაწყვეტისას, როგორც პვლევითი ხესიათის მუშაობის დროს, ისე წარმოებაში.

როგორც ვიცით ლვინის შესწავლის ორი საშუალებაა ცნობილი: ქიმიურ-მიკროპკოპიული ანალიზითა და დაჭაშნივებით. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ შემადგენელ ნივთიერებათა მიხედვით ლვინის შეფასების კანონზომიერების ზუსტი დადგენა ვერ ხერხდება, რადგან ლვინო მეტად რთული შედგენილობის პროდუქტია და მისი თვისებების წარმოქმნა ხდება რთული ბიოქიმიური პროცესებისა და მათთან დაკავშირებულ მრავალ ნივთიერებათა კომპლექსის კომბინაციებითა და პროპორციებით. *

პროფ. კ. მოდებაძის განმარტებით¹, ლვინის გამჭვირვალობის, ფერის ნიუანსების, ბუკეთის შინაარსის, გემოს ჰარმონიულობისა და სხვა თვისებების დადგენაში უზუსტესი ქიმიური აპარატებიც კი ვერ გვეხმარებიან, ეს იმ დროს, როცა დახელოვნებული დეგუსტატორი, რომელსაც დიდ გამოცდილებასთან ერთად თვალთასედვა, ყნოსვა და გემოვნება კარგად აქვს განვითარებული, მათ საკმაო სიზუსტით განმარტავს.

პროფ. ნ. პროსტოსერდოვი აღნიშნავს², რომ „ხარისხი დგინდება მხოლოდ და მხოლოდ შეგრძნების ორგანოებით, რომლებიც ობიექტს (ლვინოს) აფასებს არა ანალიზურად, არამედ სინთეზურად, მისი პირდაპირი დანიშნულებისა და მიხედვით, როგორც გემოკვებით პროდუქტს“.

¹ კ. მოდებაძე — „მეღვინეობა“ გვ. 542 — თბილისი, 1948 წ.

² ნ. პროსტოსერდოვი — „მოლდავეთის მებაღეობა-მევენახეობა და მეღვინეობა“, გვ. 35, № 5, 1954 წ.



ზემომოყვანილ მოსაზრებათა საფუძველზე, ღვინის შეფასეჭმალუა
ძირითად მეთოდად საღლეისოდ მიღებულია დაჭაშნიკება, შემდეგ კი მიმიურ-მიკროსკოპიული ანალიზი მის დამხმარე მეთოდად ითვლება. ღვინის შესწავლის ქიმიურ-მიკროსკოპიული მეთოდი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სურთ გამოარკვიონ ღვინის ცვლილებათა მიზეზები, მისი შემადგენლობა, ანდა რაიმე ფაქტორის მასზე გავლენა. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც თვით პროფესორი ნ. პროსტოსერდოვი განმარტავს — „დაჭაშნიკებაში უდავოდ ბევრია სუბიექტური“¹ და მართლაც ღვინოების ავკარგიანობის დადგენისას დაჭაშნიკების დროს ხშირად იქმნება აზრთა სხვადასხვაობა დეგუსტატორთა შორის. ფროლოუ-ბაგრევი და გ. აგაბალიანცი კი აღნიშნავენ², რომ „ღვინის ლაბორატორიული გამოკვლევის ობიექტური მეთოდები, რომლებიც საშუალებას იძლევა ვიმსჯელოთ მისი ქიმიური შედგენილობის მონაცემების მიხედვით, თანდათან უფრო ფართოდ ინერგება მეღვინეობის წარმოებაში“:

კ. პოლიტოვა-სოვზენკოს გამოკვლევით — „ღვინის ქიმიური შედგენილობა და მისი ხარისხი“³, რომელშიაც განხილულია საბჭოთა კავშირის მეღვინეობის სხვადასხვა რაიონის (ჩრდილო კავკასიის, უკრაინის, მოლდავეთის, საქართველოს, შუა აზიის, აზერბაიჯანის და სხვ.), აგრეთვე უნგრეთის, რეინის, მოზელის, ბორდის, ბურგუნდიისა და სოტერნის მაღალხარისხოვანი ღვინოების ქიმიური შედგენილობა, არ დგინდება ღვინის ქიმიურ შედგენილობასა და მის ხარისხს შორის დამოკიდებულების კანონზომიერება. მისი განმარტებით — „მეტად მაღალხარისხოვან ღვინოებში შედიოდა ამა თუ იმ კომპონენტის სხვადასხვა რაოდენობა, ამავე დროს კომპონენტების ერთი და იგივე შედგენილობის დროს ღვინოები ერთ-მანეთისაგან განირჩეოდნენ ხარისხით“.

ჩვენ შევეცადეთ გაგვერკვა ღვინოში შემავალ ცალკეულ ნივთიერებებსა, ე. ი. ღვინის ანალიზის მონაცემებსა და მის ორგანო-ლეპტიკურ შეფასებათა შორის დამოკიდებულების ზოგიერთი სა-

¹ 6. პროსტოსერდოვი — „ღვინის დაჭაშნიკების საფუძვლები“, გვ. 7, მოსკოვი, 1952 წ.

² ფროლოუ-ბაგრევი და გ. აგაბალიანცი — „ღვინის ქიმია“, გვ. 221, მოსკოვი, 1951 წ.

³ პოლიტოვა-სოვზენკო — „სსრკ მეღვინეობა და მევენახეობა“, გვ. 10, № 2, 1954 წ.

კითხი. კონკრეტულად სუფრის ღვინოების ერთ-ერთი საუკეთესო კუთხის—კახეთის ზემო მხარის სუფრის ღვინის 644 ნიმუშის შესწავლის მონაცემების მიხედვით და დაგვედგინა ამ ნივთიერებათა ღვინოში შეცულობის ოპტიმალური ოდენობანი. საცდელი ღვინოები დაყენებული იყო, არსებული ტექნოლოგიური წესების დაცვით, ძირითადად სამტრესტის მეღვინეობის საწარმოებში. დეკემბერში ვიღებდით საცდელი ღვინოების ნიმუშებს და ვაგროვებდით ინსტრუმეტის საცდელ სარდაფში. იანვარ-თებერვალში ტარდებოდა მათი დაჭავაშნივება-შეფასება 8 ბალიანი სისტემით (როგორც ახალგაზრდა ღვინოები), შემდეგ ისაზღვრებოდა ღვინის ძირითადი კამპონენტები, სახელდობრი: ხევდრითი წონა, სპირტიანობა, PH (წყალბადიონთა კონცენტრაცია), ტიტრული მჟავანობა, ღვინის მჟავა, მქროლავ მჟავათა ოდენობა, ექსტრაქტი, ნაცარი, ნაცრის ტუტიანობა, ტანინი, შაქარი და გლიცერინი. ისწავლებოდა კასური და ევროპული ტიპის 1948, 1949 და 1950 წწ. მოსავლის თეთრი და წითელი ღვინოები, სტანდარტული ორგანომენტის აქ გავრცელებული ჯიშების: რქაწითელის, მწვანის, საფერავის, კაბერნეტა და ხინკის ჩართვით.

ღვინოში შემავალ ამა თუ იმ ნივთიერების ოპტიმალურ ოდენობად ვთვლიდით იმ კონდიციებს, რომლის დროსაც უფრო მეტ ნიმუშებს ჰქონდათ მიღებული მაღალი შეფასება. მონაცემები მოგვყავს ცალ-ცალკე კომპონენტთა მიხედვით, სადაც მოცემულია ღვინის ნიმუშების რაოდენობანი ორგანოლეპტიკურ შეფასებათა და შემაღენელ კამპონენტთა შეცულობის გარკვეული ფარგლების დაწევებათა მიხედვით¹.

ხევდრითი წონა — ღვინის განსაზღვრის ერთ-ერთი მონაცემია. რომლის ოდენობაზე გავლენა აქვს აურძნის ჯიშს, ღვინის შედგენილობას, დაყენების წესს, ასაქა და სხვ. ეს მაჩვენებელი განსაკუთრებით ყურადსაღებია ღვინის ალრიცხვის-საქმეში. ჩვენს ცდებში ხევდრითი წონა ისაზღვრებოდა პიქნომეტრით 15° —C -ზე. მონაცემები მოყვანილია ქვემოთ (იხ. ცხრ. 1).

1-ლი ცხრილის მონაცემების მიხედვით შეიძლება დავისკვნათ, რომ მაღალხარისხოვანი ღვინოების ხევდრითი წონის ოპტიმალურ სიდიდედ უნდა ჩაითვალოს: ევროპული ტიპის (უჭიაჭოდ დადუღებული) თეთრი ღვინოებისათვის — 0,9921—0,9940, წითელი ღვი-

1. ღვინოების ორგანოლეპტიკური შეფასებისა და შედგენილობის მაჩვენებელთა ფარგლები დაწევებულია ძირითად, ჩვენი შეხედულებით.

ნიმუშის რაოდენობა ხელიდოთ წონის სიღიფეა და ორგანილებაზე შეფასებათა მიხედვით		ნიმუშის რაოდენობა ხელიდოთ წონის სიღიფეა და ორგანილებაზე შეფასებათა მიხედვით								
თარიღის დროის განლანვა შეფასება	მიხედვით	0,9900 0,9910	0,9911 0,9920	0,9921 0,9930	0,9931 0,9940	0,9941 0,9950	0,9951 0,9960	0,9961 0,9970	0,9971 0,9980	0,9981 1,00
6,8—7,1 (საშუალო ხარი- სხი)	—	—	2	6	9	12	2	—	—	—
7,2—7,4 (კარგი ხარისხი)	4	—	5	29	50	35	9	—	—	—
7,5—7,8 (მაღალი ხარისხი)	—	—	4	24	27	10	1	—	—	—
6,8—7,1 (საშუალო ხარი- სხი)	—	—	—	—	5	23	24	6	—	2
7,2—7,4 (კარგი ხარისხი)	—	—	—	—	6	40	63	20	—	—
7,5—7,8 (მაღალი ხარისხი)	—	—	—	—	1	12	20	5	—	—
6,8—7,1 (საშუალო ხარი- სხი)	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
7,2—7,4 (კარგი ხარისხი)	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
7,5—7,8 (მაღალი ხარისხი)	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
6,8—7,1 (საშუალო ხარი- სხი)	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
7,2—7,4 (კარგი ხარისხი)	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
7,5—7,8 (მაღალი ხარისხი)	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
6,8—7,4 (საშუალო ხარი- სხი)	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
7,2—7,4 (კარგი ხარისხი)	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
7,5—7,8 (მაღალი ხარისხი)	—	—	—	—	—	—	—	—	—	—




ნოებისათვის — 0,9951 — 0,9970. კახური ტიპის (ჭაჭაზე დაღუფული ბული) ოეთრი ღვინოებისათვის — 0,9941 — 0,9960 და წითელი ღვინოებისათვის მსგავსად ევროპული ტიპის წითელი ღვინოებისა — 0,9951—0,9970.

ევროპული ტიპის ოეთრი ღვინოების ხვედრითი წონის შედარებით სიმცირე იმით უნდა აისნას, რომ, როგორც ცნობილია, ამ ღვინოების დაყენების დროს დუღილი უჭაჭოდ ტარდება, რის გამოც ისინი ნაკლები ოდენობით შეიცავს ექსტრაქტოვან და გუნდილოვან ნივთიერებებს, ვიდრე ჭაჭაზე დაღულებული ღვინოები. ოეთრ ღვინოებთან შედარებით წითელი ღვინოების ხვედრითი წონა მაღალია, რაც საღებავ ნივთიერებათა შეცულობით აისნება. აღსანიშნავია, რომ როგორც კახური, ისე ევროპული ტიპის წითელი ღვინოების ოპტიმალური ხვედრითი წონა ძირითადად ერთნაირია, რაც იმის შედეგია, რომ ორივე ეს ღვინო ჭაჭაზე დუღილით შზადდება. მაგრამ ის გარემოება, რომ მაღალი ხვედრითი წონის კახური ტიპის ღვინის უფრო ბევრმა ნიმუშმა მიიღო მაღალი შეფასება, მათი მდიდარი შედგენილობით აისნება.

ევროპული ტიპის წითელი ღვინო შედარებით მსუბუქი და ხალისიანია, იგი უფრო ჭარბმჟაქრიან და ნაკლებშაქრიან ყურძნიდან მზადდება. ხვედრითი წონის ჭარბი ან ნაკლები მაჩვენებლების დროს ეს ღვინოები მაღალ შეფასებას იშვიათად იღებს; საერთოდ კი კარგი და საშუალო ხარისხის ღვინოების ხვედრითი წონა იშვიათად სცილდება ევროპული ტიპის ოეთრი ღვინოებისა 0,9910—0,9960, წითელ ღვინოებისა 0,9940—0,9980, კახური ტიპის ოეთრი ღვინოებისა 0,9930 — 0,9970 და წითელი ღვინოების — 0,9940—1,0.

სპირტიანობა — ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია ღვინის შედგენილობაში, რომლის ოდენობაზეა მეტწილად დამოკიდებული ღვინის ხარისხი და გამძლეობა. რაც უფრო მეტ სპირტს შეიცავს ღვინო, მით უფრო იშვიათად ავალდება იგი. ამასთან ერთად ძლიერ მცირე სპირტიანი — სუსტ ღვინოდ ითვლება, ჭარბი სპირტი კი ღვინოს მეტ სიძლიერესა და უხეშობას სქეს. საქართველოს სუფრის ღვინოები სპირტს უმთავრესად 10—13 მოცულობითი პროცენტის ოდენობით შეიცავს, იშვიათად კი 8—9° ანდა 14—15°-იან ღვინოსაც გხვდებით, რაც ყურძნის წვენის შაქრიანობაზეა დამოკიდებული, რადგან სპირტი ჭარმოიქმნება ყურძნის წვენის ალკოჰოლური დუღილის დროს, შაქრის დაშლის შედეგად შემდეგი შეთანასწორებით.





ამგვარად, 100 წილი შაქრიდან მიიღება — 51,1 წილი ნატრიუმის ჰიდროკარბონით, უანგი და 48,9 წილი სპირტი (წონით ერთეულებში გამოსახვით), მაგრამ პრაქტიკულად სპირტს მხოლოდ 46 წილს ვღებულობთ, რადგან ნაწილი შაქრისა იხარჯება საფურვის უჯრედების შექმნაზე და სხვ. გადაანგარიშებით 1% შაქრიდან საშუალოდ მიიღება 0,59 მოცულობითი პროცენტი (გრადუსი) სპირტი, რაც დამოკიდებულია დუღილის პირობებზე.

საცდელ ღვინოებში სპირტის ოდენობა ისაზღვრებოდა ებულიომეტრით მოცულობით %-ით გამოსახვით, რადგან ეს მეთოდი ფართოდ არის გავრცელებული და ამავე დროს საქმაოდ დამაკმაყოფილებელ შედეგებს იძლევა როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული მიზნებისათვის. (იხ. ცხრ. 2).

მე-2 ცხრილის მაჩვენებლების თანახმად მაღალხარისხოვანი ღვინოებისათვის სპირტიანობის ოპტიმალურ ადენობად უნდა ჩაითვალოს: ევროპული ტიპის (უჭიაჭიდ დადუღებული) ოეთრი ღვინოებისათვის $10,5 - 12,0^{\circ}$ (მოცულობითი პროცენტი), ხოლო წითელი ღვინოებისათვის $11,0 - 12,5^{\circ}$; კახური ტიპის თეთრი ღვინოებისათვის (მსგავსად ევროპული ტიპის წითელი ღვინოებისა) $- 11,0 - 12,5^{\circ}$ და წითელ ღვინოებისათვის $11,5 - 13^{\circ}$.

ევროპული ტიპის თეთრი ღვინოების შედარებით დაბალი სპირტიანობა იმით უნდა აიხსნას, რომ იგი ხასიათდება სიმსუბუქით, სინაზითა და ხალისიანობით, რის გამოც ამ ღვინოების დასაყენებლად ყურძენს კრეთენ შედარებით მცირე შაქრიანობისა და მაღალმუჭავიანობის დროს. კახური ტიპის თეთრ ღვინოებში, ისე როგორც წითელ ღვინოებში საჭირო ჰარმონიულობას ქმნის შედარებით — მაღალი სპირტიანობა, რადგან ეს ღვინოები მზადდება ჭიჭაზე დუღილით და მდიდარია ექსტრაქტოვანი გუნდილოვანი ნივთიერებებით. კახური ტიპის ღვინის დასაყენებლად ყურძენს შედარებით უფრო მეტად ამწიფებენ შაქრიანობისა და პიგმენტების რაოდენობის გადიდების მიზნით. ამასთან ერთად კახური ტიპის წითელ ღვინოს სპირტიანობის უფრო მეტი კონცენტრაცია ახასიათებს, რადგან ის უფრო ძლიერი და სხეულიანია, ევროპული ტიპის წითელი ღვინო კი მასთან შედარებით მსუბუქია და ხალისიანი.

უფრო მცირე ან ჭარბი სპირტიანობის დროს იჩღვევა ღვინის ტიპიურობა და იგი იშვიათად იმსახურებს მაღალ შეფასებას. ღვინის ჭარბი სპირტიანობის დროს იგრძნობა ზედმეტი ძარღვიანობა და სიტლანე, ხოლო მცირე სპირტიანობისას სუსტ ღვინოდ ითვლება.



კარგი და საშუალო ხარისხის ევროპული ტიპის თეთრი ღვინოებისა და სპირტიანობა იშვიათად სცილდება $10-13^{\circ}$ და კახური ტიპის თეთრი ღვინოებისა $10-13,5^{\circ}$, ხოლო როგორც ევროპული, ისე კახური ტიპის წითელი ღვინოებისა $9-10,5-13,5^{\circ}$.

ცხრილი 2

ნიმუშების რაოდნობა სპირტის შეცულობის და ორგანოლეპტიკური შეფასების მიხედვით

ორგანოლეპტიკური
შეფასება

	10,0—10,5	10,6—11,0	11,1—11,5	11,6—12,0	12,1—12,5	12,6—13,0	13,1—13,5	13,6—14,0
--	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------

6,8—7,1 (საშუალო ხარისხი)	ევროპული ტიპის თეთრი ღვინო							
	კახური ტიპის თეთრი ღვინო							
7,2—7,4 (კარგი ხარისხი)	30	33	33	15	8	2	1	—
	—	—	—	—	—	—	—	—
7,5—7,8 (მაღალი ხარისხი)	9	21	27	19	—	—	—	—
	—	—	—	—	—	—	—	—
6,8—7,1 (საშუალო ხარისხი)	ევროპული ტიპის წითელი ღვინო							
	კახური ტიპის წითელი ღვინო							
7,2—7,4 (კარგი ხარისხი)	17	22	30	26	16	14	2	—
	—	—	—	—	—	—	—	—
7,5—7,8 (მაღალი ხარისხი)	1	1	10	12	10	5	2	1
	—	—	—	—	—	—	—	—
6,8—7,1 (საშუალო ხარისხი)	ევროპული ტიპის წითელი ღვინო							
	კახური ტიპის წითელი ღვინო							
7,2—7,4 (კარგი ხარისხი)	—	—	10	13	13	6	2	—
	—	—	—	—	—	—	—	—
7,5—7,8 (მაღალი ხარისხი)	—	1	2	2	2	1	1	—
	—	—	—	—	—	—	—	—
6,8—7,1 (საშუალო ხარისხი)	კახური ტიპის წითელი ღვინო							
	კახური ტიპის წითელი ღვინო							
7,2—7,4 (კარგი ხარისხი)	4	5	12	17	13	10	6	4
	—	—	—	—	—	—	—	—
7,5—7,8 (მაღალი ხარისხი)	—	—	4	9	9	8	1	1
	—	—	—	—	—	—	—	—

PH (წყალბადიონთა კონცენტრაცია) — ღვინის სტაბილობისა და ღავაღებათა წინააღმდეგ ბრძოლის უნარიანობის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. მისი ოდენობა ბევრად არის დამოკიდებული ღვინის საერთო მეფისანობასა და განსაკუთრებით ღვინის მუავას რაოდნობაზე. PH -ის აბსოლუტური ოდენობა, როგორც ცნობილია უზრის წყალბადიონთა კონცენტრაციის უარყოფით ლოგარითმის. მას ჩვენ გვაჩვრავდით ხინგიდრონის პოტენციომეტრით (ე. წ. PH -ის აპარატით), მიღებული მონაცემები მოყვანილია მე-3 ცხრილში.



როგორც მე-3 ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, მაღალხარისკენ უკავშირობის განი ღვინოების PH -ის ოპტიმალურ თდენობად უნდა ჩაითვალოს: ევროპული ტიპის როგორც თეთრი, ისე წითელი ღვინოებისათვის 3,41—3,60, ხოლო კახური ტიპის თეთრი და წითელი ღვინოებისათვის—3,51—3,70. ღვინის ტიპების მიხედვით PH -ის ასეთი მაჩვენებელი იმით უნდა აიხსნას, რომ ევროპული ტიპის ღვინოები კახურთან შედარებით უფრო მეტი მჟავიანობით ხასიათდება.

გარდა ამისა, ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ თუმცა PH -ის ოპტიმალური ოდენობის ფარგლები ევროპული ტიპის თეთრი და წითელი ღვინოებისათვის საერთოდ 3,41—3,60-ით გამოიხატება, მაგრამ თეთრი ღვინოების ნომუშების უმრავლესობას მაღალი შეფასება აქვთ მიღებული 3,41—3,50 PH -ის დროს და წითელ ღვინოებს კი 3,51—3,60 დროს, რაც ამ ღვინოების თავისებური ბუნებით უნდა აიხსნას. ასეთივე მდგომარეობას აქვს ადგილი კახური ტიპის ღვინოებშიც.

PH -ის მაჩვენებელი იშვიათად სცილდება კარგი და საშუალო ხარისხის ევროპული ტიპის თეთრ და წითელ ღვინოებში — 3,31—3,70 და კახური ტიპის თეთრ ღვინოებში — 3,41—3,90, ხოლო წითელ ღვინოებში — 3,31—3,80.

ტიტრული მჟავიანობა — მნიშვნელოვანი მონაცემია ღვინის შედგენილობაში, როგორც ღვინის ტიპისა და გემური თვისებების განსაზღვრის, ისე ღვინის გამძლეობის უნარის მხრივ. მისი ძირითადი ჭვეფის ორგანული მჟავებია — ღვინის მჟავა, ვაშლის მჟავა და ლიმონის მჟავა, რაც ტკბილიდან გადმოდის ღვინოში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ალკოჰოლური დუღილისა და ღვინის შემდგომი დამუშავება-შენახვის პროცესში ამ მჟავების ოდენობა მცირდება. მჟავებით ღარიბი ღვინოები აღვილად ავადდება და ადრე განიცდის დეგრადაციას. გარდა ამ მჟავებისა, ღვინოში მოიპოვება რძის მჟავა, ქარვის მჟავა და მერილავი მჟავები, რომლებიც ალკოჰოლური დუღილის დროს წარმოიქმნება. სუფრის ღვინოებში ტიტრული მჟავიანობა ჩვეულებრივად მერყეობს 4—7% შორის. ჩვენს ცდებში ტიტრული მჟავიანობა განსაზღვრულია გ/ლ-ით, რომელთა მიხედვით მონაცემები მოყვანილია მე-4 ცხრილში.

როგორც მე-4 ცხრილიდან ჩანს მაღალხარისხოვანი ღვინოების ტიტრული მჟავიანობის ოპტიმალურ օდენობად უნდა ჩაითვალოს: ევროპული ტიპის თეთრი და წითელი ღვინოებისათვის—5,5—7,0 გ.

ნიმუშების რაოდენობა PH-ის ოდენიბისა და
ორგანოლეპტიკურ შეფასებათა მიხედვით

ორგანოლეპტიკური
შეფასება

	3,20—3,30	3,31—3,40	3,41—3,50	3,51—3,60	3,61—3,70	3,71—3,80	3,81—3,90	3,91—4,0
გვროპული ტიპის თეთრი ღვინო								
6,8—7,1 (საშუალო ხარისხი)	—	3	9	11	5	2	1	—
7,2—7,4 (ყარგი ხარისხი)	—	10	65	37	13	7	—	—
7,5—7,8 (მაღალი ხარისხი)	—	3	36	26	1	—	—	—
კახური ტიპის თეთრი ღვინო								
6,8—7,1 (საშუალო ხარისხი)	—	1	11	15	24	6	3	—
7,2—7,4 (ყარგი ხარისხი)	—	1	10	22	78	18	7	—
7,5—7,8 (მაღალი ხარისხი)	—	—	2	13	17	6	—	—
ევროპული ტიპის წითელი ღვინო								
6,8—7,1 (საშუალო ხარისხი)	—	2	4	4	3	—	—	—
7,2—7,4 (ყარგი ხარისხი)	—	2	4	38	1	—	—	—
7,5—7,8 (მაღალი ხარისხი)	—	3	5	—	—	—	—	—
კახური ტიპის წითელი ღვინო								
6,8—7,1 (საშუალო ხარისხი)	2	—	2	6	4	3	—	—
7,2—7,4 (ყარგი ხარისხი)	—	3	16	9	33	7	2	1
7,5—7,8 (მაღალი ხარისხი)	—	4	5	11	10	2	—	—

ლიტრში და კახური ტიპის თეთრი და წითელი ღვინოებისათვის --- 5,0—6,0 გ ლიტრში. ევროპული ტიპის ღვინოებში ციტრული მჟავიანობის შედარებით დიდი კონცენტრაცია იმით უნდა აიხსნას, რომ ეს ღვინოები მეტი სიხალისით უნდა ხსიათდებოდეს, რისთვისაც ამ ღვინოების დასაყენებლად რთველს შედარებით აღრე ატარებენ. უჭაჭოდ ღულილის დროს ღვინონ ნაკლებად მდიდრდება ტანიდებით და სხვა მსგავსი ნივთიერებებით და ამ პირობებში სრულყოფილობასა და დაავადებისადმი გამძლეობის უნარს მას სძენს მჟავიანობა. კახური ტიპის ღვინოებში ციტრული მჟავიანობის შედარებით სიმკირე უნდა აიხსნას ტიპის თავისებურებით.

		ნიმუშების რაოდენობა ტიტრული მუავიანობის ადენობისა (გ ლიტრში) და ორგანოლეპტიკული შეფასებათა მიხედვით							
		4,0—4,5	4,51—5,0	5,1—5,5	5,51—6,0	6,1—6,5	6,51—7,0	7,1—7,5	7,51—8,0
ორგანოლეპტიკული შეფასება									
საშუალო ხარისხი (6,8— 7,1)		2	5	10	6	6	2		
კარგი ხარისხი (7,2—7,4)		3	13	17	46	43	10		
მაღალი ხარისხი (7,5—7,8)		—	1	18	24	14	9		
ევროპული ტიპის თეთრი ლვინო									
საშუალო ხარისხი (6,8— 7,1)		9	12	17	16	3	3	3	
კარგი ხარისხი (7,2—7,4)		28	45	44	9	2	3		
მაღალი ხარისხი (7,5—7,8)		8	12	12	4	2	—		
კანური ტიპის თეთრი ლვინო									
საშუალო ხარისხი (6,8— 7,1)		1	2	3	4	1	2		
კარგი ხარისხი (7,2—7,4)	1	3	10	17	5	5	3	1	
მაღალი ხარისხი (7,5—7,8)	—	—	1	3	4	—	—		
კანური ტიპის ჭითელი ლვინო									
საშუალო ხარისხი (6,8— 7,1)		3	7	5	1	1	—		
კარგი ხარისხი (7,2—7,4)	2	5	15	20	18	7	6	3	
მაღალი ხარისხი (7,5—7,8)	1	4	9	10	5	2	1		
კანური ტიპის ჭითელი ლვინო									
კარგი და საშუალო ხარისხის სუფრის ლვინოებში ტიტრული მუავიანობა იშევათად სცილდება 4,0—7,5%.									
ლვინის მუავა ლვინოში შემავალ მუავათა შორის ლვინის გამძლეობის ყველაზე მთავარ ფაქტორად ითვლება. ძირითადად ამ მუავას რაოდენობაზეა დამოკიდებული ლვინის აქტიური მუავიანობა, რაც წყალბადიონთა კონცენტრაციაში გამოიხატება. ალკოჰოლური									



დულილისა და შემდეგ ღვინის შენახვის დროს ღვინის მეავას ოჭირებული ნობა ნაწილობრივ მცირდება უმთავრესად ღვინის ქვად გამოლექ- ვის გამო. ნიმუშებში ღვინის მეავას რაოდენობა ისაზღვრებოდა მეს- ლინგერის მეთოდით. მონაცემები მოყვანილია ქვემოთ (იხ. ცხ. 5).

მე-5 ცხრილის მონაცემების საფუძველზე შეიძლება დავასკ- ნათ, რომ მაღალხარისხის ღვინოებისათვის ღვინის მეავას ოპტი- მალტრ ოდენობად უნდა ჩაითვალოს ევროპული ტიპის თეთრი და წითელ ღვინოებისათვის 1,5—2,5, ხოლო კახური ტიპის თეთრი და წითელი ღვინოებისათვის 1,0—2,0 გ ლიტრში. ამ ოდენობაზე ჭარბ ან მცირე ღვინის მეავას შეცულობის დროს ღვინოები ნაკლებად იშვასურებს მაღალ შეფასებას. კარგი და საშუალო ხარისხის ევრო- პული ტიპის თეთრ ღვინოებში ღვინის მეავას ოდენობა იშვიათად სცილდება 0,5—3,0 გ ლიტრს, ხოლო წითელ ღვინოში 1,0—3,0 გ ლიტრში; კახური ტიპის თეთრ და წითელ ღვინოში კი მსგავსად ევროპული ტიპის თეთრი ღვინისა — 0,5—3,0 გ ლიტრში.

მეროლავი მეავები — ამ ჯგუფის მეავებიდან ღვინოში მოი- პოვება: ძმრის, ჭიანჭველის, პროპიონის, ერბოს და ზოგიერთი სხვა მეავები, რომელთა შორის ღვინოში ყველაზე მეტი რაოდენობითა და მნიშვნელობით არის ჭარმოდგენილი ძმრის მეავა, რის გამოც ამ მეავათა რაოდენობას საერთოდ ვანგარიშობთ ძმრის მეავის მიხედ- ვით. ღვინოში ეს მეავები ჭარმოიქმნება ალკოჰოლური დულილის დროს თვით საფუვრებისა და მისი მსგავსი ორგანიზმების მიერ და აგრეთვე ღვინის შემდგომი შენახვის პერიოდში. დიდი რაოდე- ნობით ჭარმოიქმნება ისინი მაღალ ტემპერატურაზე ხანგრძლივი დულილის, ჭარბი ჰაერაციის, მაღალშაქრიანობის, ცუდი მოვლის და სხვა პირობებში. მეროლავ მეავათა ოდენობა ისაზღვრებოდა ოფიციალური (გერმანული) მეთოდით, მონაცემები მოყვანილია მე-6 ცხრილში.

მე-6 ცხრილიდან ჩანს, რომ მაღალხარისხის ღვინო ღვინოებში მერო- ლავ მეავათა შეცულობის ოპტიმალურ ოდენობად შეიძლება ჩაით- ვალოს როგორც ევროპული; ისე კახური ტიპის თეთრი ღვინისათვის 0,30—0,50 გ. ლიტრში, ხოლო წითელი ღვინოებისათვის 0,30—0,70 გ ლიტრში. ამ უკანასკნელი კატეგორიის ღვინოებში მეროლავ მეავა- თა შედარებით მეტი ოდენობის შესაფერისობა იმით უნდა აიხსნას, რომ ეს ღვინოები საერთოდ უფრო მდიდარია შემაღებელ ნიერთი- ერებებით და აღნიშნული ოდენობის მეროლავი მეავები უარყოფით გავლენას ღვინის გემურ თვისებებზე ვერ ავლენს. თეთრი ღვინოები



და განსაკუთრებით კი ევროპული ტიპის ღვინოები კი — უფრო მაღალი ხი თვისებებით ხარისხდება. ეს ღვინოები მზადდება შედარებით მცირეშაქრიან ყურძნადან.

ცხრილი 5

ორგანოლეპტიკური შეფასება	ნიმუშების რაოდენობა ღვინის მჟავას ოდენობისა და ორგანოლეპტიკური შეფასებათა მიხედვით						
	0,1—0,5	0,51—1,0	1,1—1,50	1,51—2,0	2,1—2,5	2,51—3,0	3,1—3,5
საშუალო ხარისხი (6,8—7,1)	—	2	1	22	5	1	—
კარგი ხარისხი (7,2—7,4)	4	3	6	77	37	5	—
მაღალი ხარისხი (7,5—7,8)	1	2	5	45	11	2	—
ევროპული ტიპის თეთრი ღვინო							
საშუალო ხარისხი (6,8—7,1)	—	1	3	26	26	4	—
კარგი ხარისხი (7,2—7,4)	—	2	5	83	38	3	—
მაღალი ხარისხი (7,5—7,8)	—	—	7	26	4	1	—
კახური ტიპის თეთრი ღვინო							
საშუალო ხარისხი (6,8—7,1)	—	—	—	2	9	—	2
კარგი ხარისხი (7,2—7,4)	—	1	2	25	13	3	1
მაღალი ხარისხი (7,5—7,8)	—	—	1	4	3	—	—
ევროპული ტიპის წითელი ღვინო							
საშუალო ხარისხი (6,8—7,1)	—	3	4	2	4	3	1
კარგი ხარისხი (7,2—7,4)	2	7	10	18	25	7	2
მაღალი ხარისხი (7,5—7,8)	1	3	9	8	5	4	2
კახური ტიპის წითელი ღვინო							
კარგი და საშუალო ხარისხის ევროპული ტიპის თეთრ ღვინოებში მქროლავ მჟავათა ოდენობა იშვიათად სცილდება 0,2—0,9 გ ლიტრს, ხოლო კახური ტიპის თეთრ და წითელ ღვინოებში, აგრეთვე ევროპული ტიპის წითელ ღვინოებში, — 0,1—1,0 გ ლიტრ.							

ექსტრაქტი. როგორც ცნობილია ღვინის (ან ტებილის) იმ შემადგენელ ნივთიერებათა საერთო ოდენობას, რომელიც 100°Brix არ აორთქლდება, ექსტრაქტი ეწოდება. ღვინის ექსტრაქტის ოდენობა—



ზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ჯერ ეკოლოგიური პირობეჭიდაგთან
ადგილისა, სადაც ყურძენი დაიკრიფა და შემდეგ ღვინის დაყენების
ტექნიკა და შენახვის პირობები. ღვინის ექსტრაქტში მინერალურ

ცხრილი 6

ორგანოლეპტიკური შეფასება	ნიმუშების რაოდენობა მქროლავ მუავათა ოდენობისა (გ ლიტრში) და ორგანოლეპტიკურ შეფასებათა მიხედვით				
	0,10—0,30	0,31—0,50	0,51—0,70	0,71—0,90	0,91—1,0
ევროპული ტიპის თეთრი ღვინო					
საშუალო ხარისხი (6,8—7,1)	—	13	15	2	1
ქარგი ხარისხი (7,2—7,4)	5	65	55	7	—
მაღალი ხარისხი (7,5—7,8)	6	25	22	3	—
კანური ტიპის თეთრი ღვინო					
საშუალო ხარისხი (6,8—7,1)	3	13	24	18	2
ქარგი ხარისხი (7,2—7,4)	3	36	77	13	2
მაღალი ხარისხი (7,5—7,8)	5	22	10	1	—
ევროპული ტიპის წითელი ღვინო					
საშუალო ხარისხი (6,8—7,1)	1	3	5	3	1
ქარგი ხარისხი (7,2—7,4)	10	12	14	7	2
მაღალი ხარისხი (7,5—7,8)	—	3	4	1	—
კანური ტიპის წითელი ღვინო					
საშუალო ხარისხი (6,8—7,1)	1	2	7	4	3
ქარგი ხარისხი (7,2—7,4)	10	18	20	15	8
მაღალი ხარისხი (7,5—7,8)	2	9	11	7	3

და სხვა ნივთიერებათა გარდა შედის აგრეთვე გლიცერინი და ქარვის მეუავა. ექსტრაქტის შედეგენილობას გავლენა აქვს ღვინის ზინაარსზე, სხეულზე, პარმონიულობაზე და სხვ. სუფრის ღვინოებში ექსტრაქტის რაოდენობა ჩვეულებრივ მერყეობს 12-დან 30 გ-მდე ლიტრში. ჩვენს ცდებში ექსტრაქტის რაოდენობა ისაზღვრებოდა აორთქლებით, რომლის მონაცემები მოყვანილია ქვემოთ (იხ. ცხრ. 7).



ეროვნული
მინისტრი

როგორც მე-7 ცხრილში მოყვანილ მონაცემებიდან ჩანს მაღალი დონის ხარისხოვანი ღვინოებისათვის ექსტრაქტის შეცულობის ყველაზე მატიმალურ ოდენობად უნდა ჩაითვალოს: ევროპული ტიპის თეთრი ღვინისათვის 14—18 გ ლიტრში და წითელი ღვინისათვის — 24—28 გ ლიტრში, ხოლო კახური ტიპის თეთრი ღვინისათვის — 22 — 26 გ ლიტრში და წითელი ღვინისათვის — 26—30 გ ლიტრში.

ანიშნულ ოდენობაზე მეტი ექსტრაქტულობის დროს ღვინოში იგრძნობა ზედმეტი სხეულიანობა და დისპარმონიულობა. დისპარმონიულობა იგრძნობა ავრეთვე მცირე ექსტრაქტულობის დროსაც. ევროპული ტიპის თეთრი ღვინო უფრო მეტი სინაზითა და სიმსუბჟით ხასიათდება, მისი დაყენების დროს დუღილს ატარებენ უჭიროდ. რის გამოც იგი ექსტრაქტოვან ნივთიერებას ნაკლებად შეიცავს. კახური ტიპის თეთრი ღვინო და წითელი ღვინოები უფრო მეტი სხეულით ხასიათდება, რასაც ექსტრაქტის ოდენობა აპირობებს, რადგან მათ აყენებენ ჭაჭაზე დადუღლებით. კახური ტიპის წითელი ღვინო შედარებით უფრო მეტი სხეულით ხასიათდება, რითაც უნდა აიხსნას შასში ექსტრაქტის ჭარბი შეცულობა.

ექსტრაქტის შეცულობა კარგ და საშუალო ხარისხის ღვინოებში იშვიათად სცილდება — ეგრძობული ტიპის თეთრ ღვინოებში 14,0—20,0 გ ლიტრში, კახურ ტიპის თეთრ ღვინოებში — 18,0—30,0 გ, ხოლო ორივე ტიპის წითელ ღვინოებში — 22,0 — 30,0 გ ლიტრში.

ნაცარი (ანუ მინერალური ნივთიერება). მისი ოდენობა და შედგენილობა ღვინოში ძირითადად დამოკიდებულია ნიადაგის შემადგენლობასა და იმ ადგილის კლიმატურ პირობებზე, სადაც მოიკრიფა ის ყურძენი, რომლიდანაც ესა თუ ის ღვინოა დაყენებული. ღვინის ნაცარში ყველაზე მეტი რაოდენობით გვხვდება კალიუმი, კალციუმი და მაგნეზიუმი. მეტწილად ფოსფატებისა და სულფატების სახით. მეავეებიდან აღსანიშნავია ფოსფორის მუავა. ნაცარის ელემენტებს გავლენა აქვს ღვინის შინაარსზე, სინაზესა და ჰარმონიულობაზე.

ღვინოში ნაცარის შეცულობის ოდენობა ისაზღვრებოდა ექსტრაქტის დაწყით. მონაცემები მოყვანილია ქვემოთ (იხ. ცხრ. 8).

მოყვანილი მონაცემების (ცხრ. 8) საფუძველზე შეიძლება დავსკვნათ, რომ ღვინის ნაცარის ოდენობის ოპტიმალურ ფარგლებად უნდა ჩაითვალოს ევროპული ტიპის თეთრი ღვინისათვის — 1,5—2,5 გ ლიტრში, წითელ ღვინისათვის — 2,0—3,0 გ ლიტრში, ხოლო

ქახური ტიპის თეთრ ღვინოებში მსგავსად ევროპული ტიპის წარმოებისა — 2,0—3,0 გ ლიტრში; და წითელ ღვინოებში 2,5—3,5 გ ლიტრში.

ცხრილი 7

ნიმუშების რაოდენობა ექსტრაქტის იდენტისა
(გრამი ლიტრში) და ორგანოლექტიკურ შეფასე-
ბათა მიხედვით

K 108.929
3

ორგანოლექტიკური
შეფასება

		ევროპული ტიპის თეთრი ღვინო		კახური ტიპის თეთრი ღვინო		ევროპული ტიპის წითელი ღვინო		კაზური ტიპის წითელი ღვინო		ევროპული ტიპის წითელი ღვინო		კაზური ტიპის წითელი ღვინო		ევროპული ტიპის წითელი ღვინო		კაზური ტიპის წითელი ღვინო			
		13,0—14,0	14,1—15,1	15,1—16,0	16,1—17,0	17,1—18,1	18,1—19,0	19,1—20,0	20,1—21,0	21,1—22,0	22,1—23,0	23,1—24,0	24,1—25,0	25,1—26,0	26,1—27,0	27,1—28,0	28,1—29,0	29,1—30,0	30,1—32,0
საშუალო ხარისხი (6,8—7,1)		1	3	5	6	6	8	3	11	21	29	42	20	7	1				
კარგი ხარისხი (7,2—7,4)		3	11	12	20	14													
მაღალი ხარისხი (7,5—7,8)		1	11																
საშუალო ხარისხი (6,8—7,1)		1	6	15	14	16	6	2	4	44	46	23	3						
კარგი ხარისხი (7,2—7,4)			4	11															
მაღალი ხარისხი (7,5—7,8)			3	4	9	14	5	3											
საშუალო ხარისხი (6,8—7,1)				1	1	3	3	2											
კარგი ხარისხი (7,2—7,4)					4	17	16	5											
მაღალი ხარისხი (7,5—7,8)					1	3	3	1											
საშუალო ხარისხი (6,8—7,1)					2	4	6	2											
კარგი ხარისხი (7,2—7,4)					1	22	20	15											
მაღალი ხარისხი (7,5—7,8)					1	3	4	9											

ევროპულ ტიპის თეთრ ღვინოებში ნაცრის ნივთიერების ნაკლები შეცულობა იმით უნდა აისანო, რომ ეს ღვინოები ხასიათდება უფ-



რა მეტი სინაზითა და სიმსუბუქით, რადგან ეს ღვინოები მზადდება უკაშოდ დადუღებით. კახური ტიპის თეთრ და წითელ ღვინოების ში ნაცრის სიჭარბეს იწვევს ჭაჭაზე დუღილი. ეს ღვინოები ხსიათ-დება შედარებით მეტი სხეულითა და ძარღვიანობით. კახური ტიპის წითელ ღვინოში ნაცრის სიჭარბე, მისი მდიდარი შინარსით აიხსნება.

კარგი და საშუალო ხარისხის ღვინის ნაცრის შეცულობა იშვიათად სცილდება ევროპული ტიპის ღვინოებში — 1,0—3,5 გ ლიტრს, ხოლო კახური ტიპის თეთრ და წითელ ღვინოებში 1,5—4,5 გ ლიტრში.

ნაცრის ტუტიანობა — ღვინოში ნაცრის ტუტიანობის ჰეტნაკლებობა, რაც თავისებურად აღინიშნება ღვინის ავკარგიანობაზე, დამოკიდებულია მასში შემავალ მინერალურ ნივთიერებათა შედენილობაზე, რომელთა შორის ძირითადია კალიუმი, კალიუმი და მაგნეზიუმი. მათ ოდენობაზე კი გავლენას ახდენს, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული იმ ნიაღავის შედეგენილობა, რომელზედაც იხრდება ვაზი, წლის კლიმატური პირობები, ვაზის ჯიში, ღვინის დაყვნების წესი და სხვ.

ნაცრის ტუტიანობას ვსაზღვრავდით ტიტრაციით, ღვინის მეტვაზე გადაანგარიშებით, მიღებული შედეგები მოყვანილია მე-9 ცხრილში.

მე-9 ცხრილიდან ჩანს, რომ მაღალხარისხოვანი ღვინოებისათვის ნაცრის ტუტიანობის ყველაზე შესაფერის ოდენობად უნდა ჩაითვალოს — ევროპული ტიპის თეთრი ღვინოებისათვის — 3,1—4,0 გ ლიტრში, წითელი ღვინოებისათვის 3,5—4,5 გ ლიტრში, ხოლო კახურის ტიპის თეთრი ღვინოებისათვის მსგავსად ევროპულა ტიპის წითელი ღვინოებისა — 3,5—4,5 გ ლიტრში და წითელი ღვინოებისათვის კი — 4,0—5,0 გ ლიტრში.

ნაცრის ტუტიანობის შედარებით სიმცირე ევროპული ტიპის ღვინოებში ამ ტიპის ღვინოების სიმჩატითა და სინაზით აიხსნება, რისთვისაც მათ უჭაჭოდ აყენებენ. ჭაჭაზე დადუღებულ თეთრ ღვინოებში, ისე როგორც წითელ ღვინოებში ნაცრის ტუტიანობის სიჭარბე იმით აიხსნება, რომ ღულილის დროს ჭაჭაზე დადი



ოდენობით გადადის ექსტრაქტოვანი და გუნდილოვანი ნივთიერება მიმდევადისა, აგრეთვე მათთან ერთად ნაცრის ელემენტები.

ცხრილი 8

ორგანოლეპტიკური შეფასება	ნიმუშების რაოდენობა ნაცრის ოდენობისა (გრა- მი ლიტრში) და ორგანოლეპტიკურ შეფასებათა მიხედვით							
	1,0—1,5	1,5—2,0	2,1—2,5	2,5—3,0	3,1—3,5	3,5—4,0	4,1—4,5	4,5—5,0
საშუალო ხარისხი (6,8— 7,1)								
კარგი ხარისხი (7,2—7,4)	13	95	19	2	2	—	—	1
მაღალი ხარისხი (7,5—7,8)	3	52	9	2	—	—	—	—
განური ტიპის თეთრი ღვინო								
საშუალო ხარისხი (6,8 — 7,1)	—	10	28	13	3	4	2	—
კარგი ხარისხი (7,2—7,4)	2	17	68	24	7	9	4	—
მაღალი ხარისხი (7,5—7,8)	—	4	20	8	5	1	—	—
განური ტიპის თეთრი ღვინო								
საშუალო ხარისხი (6,8 — 7,1)	—	2	4	3	1	2	1	2
კარგი ხარისხი (7,2—7,4)	—	3	10	13	8	5	3	3
მაღალი ხარისხი (7,5—7,8)	—	1	2	3	1	1	—	—
განური ტიპის წითელი ღვინო								
საშუალო ხარისხი (6,8 — 7,1)	—	1	3	5	4	2	1	—
კარგი ხარისხი (7,2—7,4)	4	7	11	14	23	10	2	—
მაღალი ხარისხი (7,5—7,8)	—	2	4	8	10	5	2	1
განური ტიპის წითელი ღვინო								
კარგი და საშუალო ხარისხის ეგროპული ტიპის თეთრ ღვინო- ებში ნაცრის ტუტიანობა იშვიათად სცილდება 2,0—5,0 გ ლიტრში, და წითელ ღვინოში — 3,0 — 6,0 გ ლიტრში, ხოლო კანური ტიპის თეთრ ღვინოში — 2,0—6,0 გ ლიტრში და წითელ ღვინოში — 2,5— 6,0 გ ლიტრში.								

ტანინი — ეს გუნდილოვანი ნივთიერება საკმაოდ მნიშვნელო-
ვანი კომპონენტია ღვინის შედგენილობაში. იგი საღებავ ნივთიერე-
ბებთან ერთად დიდი ოდენობით გადადის ღვინოში ჩენჩხდან,
კლერტიდან და წიპტიდან ყურძნის გადამუშავებისა და განსაკუთრე-



შით ჭავჭაზე დუღილის დროს. ტანინი ღვინოში ჭარმოდგვანდღის ენოტანინის სახელწოდებით, რომელსაც დადი როლი ეკუთვნის ღვინოში მიმღინარე დაუანგვა-აღდგენის რეაქციებში და გავლენას ახდენს შეფერვაზე, გემურ თვისებებზე, დაწმენდის პროცესებზე, და სხვ.

ცხრილი 9

ნიმუშების რაოდენობა ნაცრის ტუტანობის ოდენობისა (გრამი ლიტრში) და ორგანოლეპტიკურ შეფასებათა მიხედვით

ორგანოლეპტიკური
შეფასება

	2,0—2,5	2,51—3,0 ¹	3,1—3,5	3,51—4,0 ²	4,1—4,5	4,51—5,0	5,1—6,0	6,1—7,0	7,1—8,0
საშუალო ხარისხი (6,8—7,1)	8	2	10	10	1	—	—	—	—
კარგი ხარისხი (7,2—7,4)	27	22	46	25	8	2	2	—	—
მაღალი ხარისხი (7,5—7,8)	6	4	34	19	2	1	—	—	—
გვრობული ტიპის თეთრი ღვინო									
საშუალო ხარისხი (6,8—7,1)	6	10	16	18	5	2	2	—	1
კარგი ხარისხი (7,2—7,4)	10	9	33	47	23	3	4	—	2
მაღალი ხარისხი (7,5—7,8)	1	—	5	11	11	6	4	—	—
კაბური ტიპის თეთრი ღვინო									
საშუალო ხარისხი (6,8—7,1)	—	—	3	3	4	—	3	—	—
კარგი ხარისხი (7,2—7,4)	—	—	3	4	7	20	8	—	3
მაღალი ხარისხი (7,5—7,8)	—	—	3	4	1	—	—	—	—
გვრობული ტიპის წითელი ღვინო									
საშუალო ხარისხი (6,8—7,1)	3	2	5	1	3	2	1	—	—
კარგი ხარისხი (7,2—7,4)	—	2	10	16	14	20	9	—	—
მაღალი ხარისხი (7,5—7,8)	—	—	2	6	12	8	4	—	—
კაბური ტიპის წითელი ღვინო									

ჩვენს ცდებში ტანინის რაოდენობა ისაზღვრებოდა ნეიბაუერისა და ლევენტალის მეთოდით, მიღებული შედეგები მოყვანილია მე-10 ცხრილში.

როგორც მე-10 ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, მაღალხარისხოვანი ღვინოებისათვის გუნდილოვან ნივთიერებათა (ტანინი და სა—

ლებავები ყველაზე ოპტიმალურ ოდენობად უნდა ჩაითვალისწილება
ევროპული ტიპის (უჭიჭოდ დაყენებულ) თეთრ ღვინოებისათვის —
0,2—0,6 გ ლიტრში და წითელ ღვინოებისათვის — 3,5—4,5 გ ლიტრ-
ში, ხოლო კახური ტიპის თეთრი ღვინოებისათვის — 2,0—3,0 გ
ლიტრში, წითელი ღვინოებისათვის კი მსგავსად ევროპული ტიპის
წითელი, ღვინოებისა 3,5 — 4,5 გ ლიტრში (თუმცა კა-
ხური ტიპის წითელი ღვინო მაღალ შეფასებას უფრო
მეტ შემთხვევაში ტანინის ჭარბი შეცულობის დროს იღებს).
ევროპული ტიპის თეთრ ღვინოებში ტანინის სიმცირე გამოწვეულია
უჭიჭოდ დუღილით და სავსებით შეეფერება მეტ ტიპიურ ფერსა
და გემოს, როგორც ჩალისფერ, ნაზ და მსუბუქ ღვინოს. კახური
ტიპის თეთრ ღვინოებში ამ ნივთიერებათა მეტი ოდენობით შეცუ-
ლობა გამოწვეულია ჭაჭაზე დუღილით და შეეფერება ტიპს, რომელ-
საც ახასიათებს უფრო მეტი სხეული, ჩაისფერი (რაც იქმნება მასში
ტანინის დაუანგვის შედეგად) და თავისებური მომშაბავი გემო, რა-
საც აგრეთვე ტანინი იქვევს. ეს ღვინო ჩვეულებრივ სპირტსაც მეტს
შეიცავს და ამ პირობებში ტანინის სიჭარბე ქმნის ღვინის ჰარმონი-
ულობასა და სისრულეს. წითელი ღვინოები გარდა ამისა საჭიროებს
ინტენსიურ შეფერვას და რადგანაც ყურძნის საღებავი ნივთიერება
გუნდილოვან ნივთიერებებში ერთიანდება, იზრდება მისი რაოდე-
ნობაც. დასახელებულ ოდენობაზე მეტი ან მცირე ოდენობით მათი
შეცულობის დროს ეცემა ღვინის ხარისხი. ტანინის სიმცირის გამო
ღვინო ნაკლებად ჰარმონიული, უშინაარსო ხდება, ღვინო კარგავს
ტიპიურობას. ტანინის სიჭარბის დროს ღვინო არასასიამოვნო —
მწყლარტე ხდება, ირლვევა ჰარმონიულობა და სხვ. კარგი და საშუ-
ალო ხარისხის ევროპული ტიპის თეთრ ღვინოში ტანინის ოდენობა
იშვიათად სცილდება 0,1—1,2 გ ლიტრში და წითელ ღვინოში — 2,0—
5,0 გ ლიტრს, ხოლო კახური ტიპის თეთრ ღვინოში — 1,0 — 5,0 გ
ლიტრს და წითელ ღვინოში — 2,9—6,0 გ ლიტრს.

გლიცერინი — ღვინის ხარისხის განსაზღვრის ერთ-ერთი მნიშ-
ვნელოვანი კომპონენტია, იგი ღვინოს სქენს სირბილეს, ხავერდოვ-
ნებას და ჰარმონიულობას, წარმოადგენს სამატომიან სპირტს და
ღვინოში წარმოიქმნება შაქრის დაშლის შედეგად ალკოჰოლურა
დუღილის დროს. ღვინოში გლიცერინის დაგროვებას ძირითადად



პირობებს ტკბილის შაქრიანობა და დუღილის მსვლელობა გორც წესი, მაღალშაქრიანობისა და ნელი დუღილის პირობებში გლიცერინი ჭარბად გროვდება.

ცხრილი 10

ნიმუშების რაოდენობა თრგანოლეპტიკური შეფასებისა და ტანინის შეცელობის (გრამი ლიტრში) მიხედვით	
0,20—0,10	
0,21—0,40	
0,41—0,60	
0,61—0,80	
0,81—1,0	
1,1—1,20	
1,21—1,40	

თრგანოლეპტიკური
შეფასება

საშუალო ხარისხი (6,8—7,1)
ქარგი ხარისხი (7,2—7,4)
მაღალი ხარისხი (7,5—7,8)

ევროპული ტიპის თეთრი ღვინო	
3	6
10	38
6	26

საშუალო ხარისხი (6,8—7,1)
ქარგი ხარისხი (7,2—7,4)
მაღალი ხარისხი (7,5—7,8)

გახური ტიპის თეთრი ღვინოება	
4	9
3	15
1	6

საშუალო ხარისხი (6,8—7,1)
ქარგი ხარისხი (7,2—7,4)
მაღალი ხარისხი (7,5—7,8)

ევროპული ტიპის წითელი ღვინოება	
2	3
3	8
1	1

გახური ტიპის წითელი ღვინოება	
2	2
3	23
1	4

გახური ტიპის წითელი ღვინოება	
2	4
3	20
8	10

საშუალო ხარისხი (6,8—7,1)
ქარგი ხარისხი (7,2—7,4)
მაღალი ხარისხი (7,5—7,8)

გლიცერინი ისაზღვრებოდა 78 ღვინის ნიმუში, მიღებული ჟუ-
ლეგები მოყვანილია მე-11 ცხრილში.

მე-11 ცხრილის მონაცემების მიხედვით დასკვნების გამოტანა-
ძნელია ნიმუშების სიმცირის გამო, მაგრამ ასებული მსალებით
შეიძლება ითქვას, რომ გლიცერინის შეცულობის ოპტიმალურ-
ოდენობად უნდა ჩაითვალოს — ეკროპული ტიპის თეთრ ღვინოე-

ცხრილი 11

ნიმუშების რაოდენობა, გლიცერინის ოდენობისა-
(გრამი ლიტრში) და ორგანოლეპტრული შეფასე-
ბის მიხედვით

ორგანოლეპტიკური
შეფასება

	4,0—5,0	5,1—6,0	6,1—7,0	7,1—8,0	8,1—9,0	9,1—10,0
--	---------	---------	---------	---------	---------	----------

საშუალო ხარისხი (6,8—
7,1)

ეკროპული ტიპის თეთრი ღვინო

1	3	2	—	1	1
5	7	2	1	—	—
—	2	3	1	—	—

კარგი ხარისხი (7,2—7,4)
მაღალი ხარისხი (7,5—7,8)

კახური ტიპის თეთრი ღვინო

—	—	—	—	—	—
1	2	6	1	2	—
—	—	2	3	1	1

საშუალო ხარისხი (6,8—
7,1)

ეკროპული ტიპის წითელი ღვინო

—	—	—	—	—	—
1	2	6	1	2	—
—	—	2	3	1	1

კარგი ხარისხი (7,2—7,4)
მაღალი ხარისხი (7,5—7,8)

ეკროპული ტიპის წითელი ღვინო

—	—	—	—	—	—
—	2	—	1	1	—
—	—	2	2	1	1

საშუალო ხარისხი (6,8—
7,1)

კახური ტიპის წითელი ღვინო

—	—	—	—	—	—
—	—	2	2	1	1
—	—	—	1	1	—

კარგი ხარისხი (7,2—7,4)
მაღალი ხარისხი (7,5—7,8)

კახური ტიპის წითელი ღვინო

—	—	—	—	—	—
—	1	1	2	1	4
—	—	—	2	2	—

საშუალო ხარისხი (6,8—
7,1)

კარგი ხარისხი (7,2—7,4)
მაღალი ხარისხი (7,5—7,8)

ბისათვის — 5,0—7,0 გ ლიტრში. ხოლო კახური ტიპის თეთრ ღვი-
ნოებისათვის — 6,0—8,0 გ ლიტრში, და ორივე ტიპის წითელი ღვი-
ნოებისა 7,0—9,0 გ ლიტრში, რადგან შესწავლილ ნიმუშებს ამ კონ-
დიციებზე აქვთ მიღებული მაღალი შეფასება.



ევროპული ტიპის თეთრ ღვინოებში გლიცერინის სიმღერულის ყურძნის შედარებით ადრე (ე. ი. მცირე შაქრიანობის დროს) კრეფით უნდა იყოს გამოწვეული. ჭაჭაზე დაღულებული ღვინი სა-ერთოდ უფრო მდიდარი შედგენილობისაა, რადგან იგი მზადდება მაღალშაქრიან ყურძნილან. ასეთ პირობებში გლიცერინის შედარებით ჭარბი ოდენობა იქმნება.

კარგი და საშუალო ხარისხის ღვინოებში გლიცერინის ოდენობა შედარებით მკვეთრად ცვალებადობს. საერთოდ კი ანიშნულ ხარისხის ევროპული ტიპის თეთრ ღვინოებში გლიცერინის ოდენობა იშვიათად აღმატება $4,0 - 9,0$ გ ლიტრში. წითელ ღვინოებში კი $6,0 - 9,0$ გ ლიტრში, ხოლო კახურის ტიპის თეთრ და წითელ ღვინოებში $5,0 - 9,0$ გ ლიტრში.

შაქარი — როგორც ცნობილია, სუფრის ღვინოები სრულიად მშრალი უნდა იყოს, მაგრამ მიუხედავად ამისა ანალიზის შედეგად ასეთ ღვინოებში შაქარი მაინც ვლინდება სხვადასხვა ოდენობით, რაც რა თქმა უნდა, თავისებურ გავლენას ახდენს ღვინის ორგანოლეპტიკურ თვისებებზე. ღვინოში დარჩენილი შაქარის ბუნება ჯერ კიდევ კარგად არ არის დადგენილი. იგი უნდა წარმოადგენდეს არა ინვერსიულ შაქარს არამედ ისეთ ნივთიერებას, როგორიც არის პენტონაზები. პენტონაზებს ეხვდებით ყურძნის კლერტსა და წიპჭაში, რომლებიც, ისე როგორც გლუკოზა და ფრუქტოზა, აღადგენს ფერმინგის სითხეს, მაგრამ არ განიცდის ალკოჰოლურ ღულილს.

შაქარი ისაზღვრებოდა ბერტრანის მეთოდით 540 ნიმუშში. მონაცემები მოყვანილია ქვემოთ (იხ. ცხრ. 12).

მე-12 ცხრილის მონაცემებით კანონზომიერება არ დგინდება, რადგან თეთრი ღვინოების ნიმუშების უმეტესობას მაღალი შეფასება ჯერ მაშინ აქვთ მიღებული, როდესაც შაქრის შეცულობა უდრიდა $0,1 - 0,5$ გ ლიტრს. და შემდეგ $2,1 - 3,0$ გ ლიტრს. თითქმის ასევე ცვალებადობს ეს მონაცემი მაღალხარისხისხვან წითელი ღვინის ნიმუშში, ხოლო უფრო მეტ ცვალებადობას აქვს ადგილი კარგი და საშუალო ხარისხის ღვინოებში.

როგორც ზემოთაც იყო ანიშნული ღვინის შემადგენელ ნივთიერებათა ოპტიმალურ ოდენობად ჩვენს მიხნეულია ის კონდიციები, როგორიც მაღალხარისხისხვან ღვინის ნიმუშების უმრავლესობას ახასიათებთ ამ ნივთიერებათა ცალ-ცალკე (ურთიერთისაგან დამოუკიდებლად) განხილვისას. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ

მონაცემებში ღვინის ხარისხსა და მის შედგენილობას შორის დამო-
კიდებულების საყითხში არის ზოგიერთი გადახვევა, მაგალითურა გვი-
ჩენს ცდებში ზოგჯერ მაღალი შეფასება მიიღო ისეთი ღვინის ნი-

ცხრილი 12

ნიმუშების რაოდენობა, ზაქრის ოდენობისა (გრა-
მი ლიტრში) და ორგანოლეპტიკური შეფასების
მიხედვით

ორგანოლეპტიკური
შეფასება

	0,1—0,5	0,51—1,0	1,1—1,5	1,51—2,0	2,1—3,0	3,1—4,0	4,1—5,0	5,1—7,0	7,1—10,0
ევროპული ტიპის თეთრი ღვინო									
საშუალო ხარისხი (6,8—7,1)	12	4	3	4	3	—	—	—	—
კარგი ხარისხი (7,2—7,4)	45	9	12	6	19	4	—	—	—
მაღალი ხარისხი (7,5—7,7)	18	2	8	1	21	4	—	—	—
კაზური ტიპის თეთრი ღვინო									
საშუალო ხარისხი (6,8—7,1)	19	3	3	6	13	4	2	—	—
კარგი ხარისხი (7,2—7,4)	30	6	19	7	33	6	2	1	1
მაღალი ხარისხი (7,5—7,8)	16	1	5	—	14	3	—	—	—
ევროპული ტიპის წითელი ღვინო									
საშუალო ხარისხი (6,8—7,1)	—	3	—	—	—	5	1	—	1
კარგი ხარისხი (7,2—7,4)	—	2	3	—	13	9	19	—	—
მაღალი ხარისხი (7,2—7,4)	—	—	—	—	1	4	—	—	—
კაზური ტიპის წითელი ღვინო									
საშუალო ხარისხი (6,8—7,1)	1	2	5	1	3	1	2	3	2
კარგი ხარისხი (7,2—7,4)	10	1	—	4	1	3	7	3	27
მაღალი ხარისხი (7,5—7,8)	2	—	—	2	—	3	2	9	15

მუშებმა, რომლის შედგენილობის ესა თუ ის მაჩვენებელი არ ემთხ-
ვევა ჩვენმიერ დადგენილ ოპტიმალურ ოდენობას, ანდა ოპტიმალუ-
რი ი დადგენილ ამა თუ იმ ნივთიერების შეცულობის დროს ნიმუშები
შედარებით დაბალ შეფასებას იღებდა და სხვ., რაც ჩვენი აზრით
უნდა აიხსნას ღვინოში შემავალ სხვადასხვა ნივთიერებათა თავისე-
ბური მონაწილეობით კომპლექსში, საერთოდ კი ამა თუ იმ ნივთი-
ერების შეცულობის დასახელებულ ოპტიმალურ ი დადგენილან გა-

დახრის დროს (როგორც სიჭარბისაკენ, ისე სიმცირისაკენ) ღვინის
ნიმუშების მცირე რაოდენობა იღებდა მაღალ შეფასებას, ე. ი. ეტელის
მოდა ღვინის ხარისხი. კარგი და საშუალო ხარისხის ღვინოებისათვის
შემაღენელ ნივთიერებათა მაჩვენებლების კანონზომიერება საერ-
თოდ არ მყარდება. ამ შეფასების ღვინის ნიმუშების უმეტესობა ძი-
რითადად ნივთიერებათა შეცულობის ოპტიმალური ფარგლებით
ხასიათდება, მაგრამ, ამავე დროს, ბევრი ნიმუში ამ ნივთიერებათა
ოპტიმალური კონდიციიდან გადახრით ხასიათდება, ე. ი. კარგი და
საშუალო ხარისხის ღვინოების შედგენილობა ძირითადად უფრო
ფართო ფარგლებში მერყეობს, რაც, რა თქმა უნდა, აგრეთვე აიხს-
ნება ცალკეულ ნივთიერებათა თავისებური მონაწილეობით ღვინის
შეღენილობის კომპლექსში.

ГРУЗИНСКОЕ НАУЧНО-ТЕХНИЧЕСКОЕ ОБЩЕСТВО ПИЩЕВОЙ
ПРОМЫШЛЕННОСТИ

СЕКЦИЯ ВИНОДЕЛЬЧЕСКОЙ ПРОМЫШЛЕННОСТИ

Д. Касабури

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ЗАВИСИМОСТИ МЕЖДУ
СОСТАВОМ И КАЧЕСТВОМ ВИНА

(на груз. языке)

რედაქტორი პროფ. გ. ი. ბერიძე

ნო. № 1722

თე 08897

ტირ. 1000

საქ. სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამეცნინო სამმართველოს სტამბა
თბილისი, უ. ჩხეიძის ქ. № 8

20/195
J 86 M



-3

ପାତା